

ირინე ჯუკა შვილი

**ეთნიკური დაპირისპირების ისტორიული ასპექტის  
განსაზღვრისათვის  
(ეთნოსტორიული ანალიზი ქვემო ქართლის მაგალითზე)**

ქვემო ქართლი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოს სასაზღვრო რეგიონია. იგი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა, რაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე მასობრივი მიგრაციების შედეგია. ქვემო ქართლში ცხოვრობენ: ქართველები, სომხები, თურქმანული წარმოშობის მუსულმანები (ე.წ. აზერბაიჯანელები), რუსები, ბერძნები და სხვა.

ცნობილია, რომ მრავალეროვან ადმინისტრაციულ ერთეულებში ეთნოკონფლიქტების მეტი ალბათობა არსებობს. კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური დაპირისპირება მწვავედება განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მრავალრიცხოვანი და კომპაქტური დასახლების შემთხვევაში; განსაკუთრებით, თუ ისინი თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ და კრიტიკულ სიტუაციაში იქიდან რეალური დახმარების იმედი აქვთ. ამ დროს, მრავალეროვანი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დაპირისპირება – „ჩვენ“ და „ისინი“, ძალზე მძაფრდება, რაც საკუთარი ეთნოკულტურული ღირებულებების გაიდევალებასა და სხვათა დამცრობის მცდელობაში გამოიხატება. „ჩვენ ყველაზე უკეთესი რელიგია, ენა, ტრადიციები, ხუროთმოძღვრების ძეგლები და სხვ. გვაქვს“ – მიიჩნევენ თითოეული ასეთი ეთნიკური ერთეულის წარმომადგენელი. ამავე დროს შეუმჩნეველი რჩება, რომ ინტენსიური კონტაქტების შედეგად ყველა ჯგუფის მატერიალური და სულიერი კულტურა მდიდრდება მეზობელთა მიღწევების გათავისების ხარჯზე. განსაკუთრებით ეს შეეხება არაადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც იძულებულია გადმოიღოს ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული მეურნეობის წარმოების ხერხები, შრომის იარაღები, ხოლო ზოგჯერ, საერთოდ შეიცვალოს მეურნეობის სახეც კი. მაგ. აზერბაიჯანელები (გასულ საუკუნეში მათ თათრებად მოიხსენიებდნენ), ქვემო ქართლში ჩამოსახლებამდე, მომთაბარე მესაქონლენი იყვნენ. დროთა განმავლობაში, ჩამოსახლების შემდეგ, მიწათმოქმედებასაც გაეცნენ და ამჟამად მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური ხასიათდებიან,

რაც ადგილობრივი გარემოს გავლენას უნდა მივაწეროთ.

ერთაშორისი დაპირისპირების ზემოთ ნახსენები ფსიქოლოგიური ფონი, ტიპიურია მრავალეროვანი ოლქებისათვის, თუმცა ეს კონფლიქტების გარდაუვალობას არ გულისხმობს, რადგან სიტუაციას არეგულირებს ტრადიციული სოციალური მექანიზმები; თანაც სახელმწიფო სტრუქტურებს გააჩნიათ მდგომარეობის ესკალაციის თავიდან აცილების ქმედითი ბერკეტები. ამიტომ, ფართომასშტაბიანი კონფლიქტების პროვოცირებისათვის ხელსაყრელი პირობები დგება ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების მომენტებში.

ეთნიკურად ჭრელი რეგიონებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია არაავტოქტონი მოსახლეობის სეპარატისტული განწყობილება, რაც ტიტულარულ ეთნოსთან დაპირისპირების ძირითადი მიზეზი ხდება. ამას ემატება წინააღმდეგობა არატიტულარულ სომხურ-აზერბაიჯანულ ეთნიკურ ერთეულებს შორის. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთშეურიგებლობას სიმწვავეს პმატებს ყარაბაღის ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემა და დაძაბულობა მათ ძირითად სახელმწიფოებს შორის. ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ქვემო ქართლში ავტოქტონობაზე პრეტენზიებს აცხადებენ. ქართველები თავიანთი მოსაზრებებს ისტორიული მონაცემებითა და ამ მხარეში ძველთაგანვე არსებული ქართული პოლიტიკური ერთეულებით ასაბუთებდნენ; სომხები და აზერბაიჯანელები კი (რომელთა ძირითადი ქვეყნები მოსაზრდვრედ მდებარეობენ) ამ ტერიტორიას საქართველოს მიერ უსამართლოდ მიტაცებულად თვლიან. ისინი ამ მოსაზრებებს ფსევდოისტორიული მოსაზრებებით ამაგრებენ და მინიმუმ პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას ცდილობენ.

თითოეული ეთნიკური ჯგუფის ჩამოსახლების ისტორიის ობიექტურად კვლევას (გამომდინარე ზემოთქმულიდან) პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო რომ, ზოგიერთი მეცნიერი მას მეტად ტენდენციურად აშუქებს. ამგვარი მიდგომა ამ პრობლემისადმი ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან ჩამოყალიბდა, როდესაც მაშინდელი ბორჩალოს მაზრის ისტორიული კუთვნილების საკითხი ამიერკავკასიის საზოგადოებრივ და სამეცნიერო წრეებში მწვავე დავის საგნად იქცა.

დღეისათვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ქვემო ქართლი შედიოდა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში. დასახლებული იყო ერთი წარმომავლობის ხალხით, რომელთა მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურა უწყვეტი ჯაჭვითაა წარმოდგენილი; დადგენილია ყველა ერთმანეთის მომდევნო საფეხური, ისე რომ მომდევნო და წინამავალ კულტურათა შორის არის გენეტიკური კავშირი. არქეოლოგიურ მასალის, ტოპონიმიკური და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე მკვლევართა უმეტესება ამ კულტურის შემოქმედად კავკასიურ ეთნიკურ სუბსტრატს მიიჩნევს, რომელიც ენობრივად ქართული სამყაროსთვის სისხლისმიერ იბერი-

ულ-კავკასიურ ენათა ოჯახს უკავშირდება<sup>1</sup>.

აღმოსავლეთქართველური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (ქრისტემდე III ს.) ქვემო ქართლი ყოველთვის მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა როცა მოგვიანებით სომხეთთან და ალბანეთთან მოსაზღვრე რეგიონად იქცა, დროდადრო გაძლიერებული სომხეთის ექსპანსიის გამო, საზღვრებსაც იცვლიდა ხოლმე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლი მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ქართულ სახელმწიფოსთან. ბერძენ-რომაელი და თვით სომეხი ავტორებიც კი (სტრაბონი, აპოლოდორე, დიონ კასიუსი, ფავსტოც ბუზანდი, მოვსეს ხორენაცი, იოანე დრასპანაკერტცი, მოვსეს კალკატუანი და ა.შ.) ერთხმად აღნიშნავენ ამ მხარის არასომხურობას.

როგორც ითქვა, ხანდახან ქვემო ქართლის ცალკეული ნაწილები (გუგარქი, ტაშირი, აბოცი) სომხების გავლენის ქვეშ ექცეოდა და იქსომხური ელემენტის ინფილტრაცია ხდებოდა. მათი პირველი ნაკადი ანტიკური წყაროების მიხედვით, ქრისტემდე II ს-ში შემოიჭრა და დამკვიდრდა. მოგვიანებით ამ მხარეში სომხების სიმრავლემ გარკვეული როლი ითამაშა სომხურ-ქართულ საეკლესიო განხეთქილებაშიც. სომხური საეკლესიო წრეები და ქვემო ქართლის სომხურენოვანი მრევლი ცდილობდა აქსომხურ ენაზე საეკლესიო ღვთისმსახურებას და სომეხი წარმოშობის ეპისკოპოსის დაკანონებას, რაც კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა ქართულ ინტერესებს.

განვითარებული ქართული ფეოდალური სახელმწიფო გაუმკლავდა მის წინაშე მდგომ უცხოტომელთა პრობლემას და შემოსული სომხური მოსახლეობის ნაწილობრივი ასიმილაციაც მოახერხა. თუმცა XI საუკუნიდან საკუთარ სახელმწიფოს მოკლებული სომხები განუწყვეტლად გამორბოდნენ საქართველოში, რათა მათ სამშობლოში გამეფებული ეროვნული, რელიგიური და ეკონომიური შევიწროებისგან დაეხსნათ თავი. განსაკუთრებით მრავლად სახლდებოდნენ ისინი მოსაზღვრე ქვემო ქართლში, რომ სამშობლოში მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ უკან ადვილად დაბრუნებულიყვნენ<sup>2</sup>.

გვიან შუასაუკუნეებში, სომხების ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ ქართველი ფეოდალები, რომლებიც მტრის ხშირი შემოსევებისგან გაუკაცრიელებული მიწების მოსახლეობით შესავსებად და დაცემული საქალაქო ცხოვრების ასაღორძინებლად მათ საუკეთესო ვარიანტად თვლიდნენ. სომხების ქვემო ქართლში დამკვიდრებას ისიც აადვილებდა, რომ მათთვის ადგილობრივი ბუნებრივი გარემო შედარებით მახლობელი იყო და ჩვეული მეურნეობის შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა. კავკასიაში რუსეთის გაბატონებამდე, საქართველოში სომეხთა მიგრაციას ქართველი ხელისუფლები არეგულირებდნენ, ამიტომ

<sup>1</sup> ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961, გვ. 250-253

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული), ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989, გვ. 35

ქართულ ინტერესებს ჩამოსახლებულელები რეალურ საშიშროებას ვერ უქმნიდნენ და ეროვნული(სომხური) სახელმწიფოს არარსებობის გამო ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებას ნაკლებად ფიქრობდნენ.

უძველესი დროიდან დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მომთაბარე თურქების შემოჭრაც, რასაც ადასტურებს ნარატიული ისტორიული წყაროები და ტოპონიმიური მასალაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში თურქული ელემენტის დამკვიდრება გაძნელებული იყო მათი მეურნეობის არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გამო – ისინი მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. აქ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი რჩებოდა, რომელიც სუსტი სოციალურ-პოლოტიკური ორგანიზაციის გამო ქართულ სახელმწიფოებრიობას რეალურ საშიშროებას ვერ უქმნიდა. ჩამოსახლებულები ადგილობრივი კულტურის გავლენის სფეროში ექცეოდნენ და დროთა განმავლობაში ქართულ ეთნიკურ გარემოს უახლოვდებოდნენ.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა თურქმანულ სამყაროში პირველად თურქ-სელჩუკებმა შესძლეს, რომლებიც ნიზამ ალ-მულქის თანამედევრულმა პოლიტიკამ მრისხანე ძალად აქცია. ამიერკავკასიის ათვისების მიზნით ამ დროს შეიმუშავეს მომთაბარე თურქების ჩამოსახლების პროგრამა<sup>3</sup>. საქართველოს მესვეურებმა იგრძნეს ახალი საშიშროება და სახელმწიფოს მმართველობა მნიშვნელოვანი რეფორმირება მოახდინეს. დავით აღმაშენებლის გონივრულმა პოლიტიკამ ქვეყანა გადაგვარებისგან იხსნა. ქართულმა სახელმწიფომ შესძლო მეგერიებიან თურქ-სელჩუკების დამანგრეველი შემოსევა, რომელსაც ქართული წყაროები „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებენ და თავად გადასულიყო შეტევაზე თურქული სამყაროს წინააღმდეგ.

მომდევნო ეპოქებში, საქართველო კვლავაც იგერიებდა თურქულ ტაღებს, რაც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის დროს უფრო ადვილად ხერხდებოდა, ხოლო ეს მეტად გაძნელდა XV ს-იდან, როდესაც ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

მართალია ქართული ხელისუფლება დაინტერესებული იყო სასაზღვრო რაიონებში ქრისტიანული მოსახლეობის შენარჩუნებით, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მტრის ხშირი შემოსევებით ეს მხარეები ხშირად მთლიანად უკაცრიელდებოდა და ამიტომ, ზოგჯერ, თავად ქართველი მესვეურები ასახლებდნენ მომთაბარე ელებს (თურქმანებს). მაგ. თემურ ლენგის შემოსევებით შეწუხებული მოსახლეობისგან დაცლილ ქვემო ქართლში ალექსანდრე მეფემ ძალდატანებით მოიყვანა ელი-მოსახლეობა და აქ დამაგრების მიზნით მათ შეღავათებიც კი დაუწესა.

ქვემო ქართლში თურქმანული ტომების მასობრივი შემოსახლება უკავშირდება სეფიანთა ირანს, რომელსაც ოკუპირებული ჰქონდა აღმ. სომხეთი და მისი საზღვარი საქართველოსთან ქვემო ქართლზე გადიოდა. ირანის შაჰ-

<sup>3</sup> ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, თბ. 1968, გვ.275

ების მიზანს წარმოადგენდა ქვემო ქართლისა და გარე კახეთის მუსულმანურ რეალში მოქცევა. ამასთანავე, მხოლოდ აქ შეიძლებოდა საქართველოს მასშტაბით საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მონაცვლეობა; ახლოს იყო სომხეთ-აზერბაიჯანის საძოვრებიც. თავიანთი საწადელის მისაღწევად, ირანის ხელისუფალნი სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ. აღ-ყოინლუს ფადი-შაჰმა, უზუნ ჰასანმა, აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეები ააგო, რათა იქ ჩასმულ გარნიზონებს ქართლის მეფისათვის არასასურველად ქცეული ელემენტი შევიწროებისგან დაეფარათ. შაჰ-აბას პირველმა, ლორე საჩუქრად მოსთხოვა ქართლის მეფეს, სანაცვლოდ კი მას ირანში სამი სოფელი უბოძა<sup>4</sup>.

სწორედ ამ დროს დამკვიდრდა ქვემო ქართლში მასობრივად ელი მოსახლეობა. ისინი მეტწილად სხვადასხვა ტომთა ნარჩენებისგან ხელოვნურად შეკოწიწებულ ნაზავს წარმოადგენენ, რომლებიც კულტურულად და სოციალურ-ეკონომიურად ისედაც ჩამორჩენილ ყიზილბაშებზე კიდევ უფრო დაბლა იდგნენ და ამიტომაც, ირანის შიდა რეგიონებში ხელისუფლებისთვის არასასურველ ელემენტებად იქცნენ. ჩამოსულთა შორის იყო „ბორჩაღუს“ ტომის ნაწილიც. მოგვიანებით ეს სახელი ტოპონიმად იქცა, რომელიც რუსულმა მმართველობამ მაზრას უწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქმანული მოდგმის მოსახლეობის ინფილტრაცია, მეტნაკლები ინტანსივობით, გრძელდებოდა XVII-XX სს-შიც.

XVIII ს-ში ერეკლე მეფემ, ალავერდისა და ახტალის მადნეულის საბადოების ათვისებასთან დაკავშირებით, ოსმალეთიდან გადმოსახლა ბერძენები. ეს ადგილები მკვიდრი მოსახლეობისგან დაცლილი იყო, ხოლო ბერძენები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში კვალიფიციურ მეტალურგებად ითვლებოდნენ, სიამოვნებით მოდიოდნენ საცხოვრებლად ერთმორწმუნე საქართველოში, რითაც თურქების ძალმომრეობას აღწევდნენ თავს.

როგორც ითქვა, ქართული სამეფო კარი, ზოგჯერ თავად ასახლებდა ქვემო ქართლში უცხოელებს, თუმცა ხშირი ომიანობის პირობებშიც ისინიც ტოვებდნენ აქაურობას და საქართველოს შიდა, შედარებით უსაფრთხო რაიონებში სახლდებოდნენ. რა თქმა უნდა, ხელისუფალნი ცდილობდნენ აქ პირველ რიგში ქართული მოსახლეობის დამაგრებასა და გაქცეულთა დაბრუნებას. მაგ., ვახტანგ მეექვსემ ამისათვის საგანგებო მუხლიც კი შეიტანა თავის „დასტურ ლამაღში“.

საპირისპიროდ შეიცვალა მდგომარეობა საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ. რუსული იმპერია მიზნად ისახავდა ქართველთა დენაციონალიზაციას, რისთვისაც მასობრივად ასახლებდა აქ არაქართველებს და მათ, მკვიდრი მოსახლეობისგან განსხვავებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ეს ქართული ინტელიგენციის სამართლიან გულისწყურობას იწვევდა<sup>5</sup>. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქვემო ქართლი იყო, სადაც

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება IV, თბ. 1973 გვ. 419

<sup>5</sup> ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ. 1990, გვ. 58

მახლობელი აღმოსავლეთიდან (ირანიდან და თურქეთიდან) მრავლად შემოიყვანეს სომხები, ბერძნები (ურუმები) და თათრები; მრავლად ასახლებდნენ რუსეთის შიგა გუბერნიებიდან დეპორტირებულ სექტანტებს (დუხობორები, მოლოკნები), აქვე რჩებოდნენ რუსული სამოხელეო აპარატის ყოფილი თანამშრომლები და დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეები; 1817 წ-ს ჩამოასახლეს გერმანელები, რომლებსაც საუცხოო პირობები შეუქმნეს დამკვიდრებისა და ევროპული მეურნეობის მოწყობისათვის (1941 წ-ს ისინი შუა აზიაში გაასახლეს); აქ ცხოვრობდნენ ასევე ოსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

ქვემო ქართლში, მიუხედავად უამრავი ავბედობისა ცხოვრებას აგრძელებდნენ ძირძველი ქართველების შედარებით მცირე ოდენობის შთამომავლები. ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში ზემო იმერეთიდან და რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოსახლეს ქართველების მოზრდილი ჯგუფები, ხოლო ამ ბოლო ხანებში მათ დაემატნენ სტიქიით დაზარალებული სვანებიც. მიხედავად ამისა, დემოგრაფიული სურათი ამით ქართველთა სასარგებლოდ მაინც არ შეცვლილა, რადგან ქვემო ქართლში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი ძირითადად მაჰმადიანების შობადობის მაღალი მაჩვენებლებით არის გაპირობებული.

ქართველთა მცირერიცხოვნება გახდა იმის მიზეზი, რომ სომხურ-აზერბაიჯანული წრეები, ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეეცადნენ ქვემო ქართლი თავიანთ საკუთრებად გამოეცხადებინათ. ამას ხელი შეუწყო თავად ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების ერთი ნაწილის მიერ „საერობო“ მოწყობის ძირითად პრინციპად რეალური ეთნიკური უმრავლესობის აღიარებამ. ე.ი. ერობები უნდა შექმნილიყო არა ისტორიული კუთვნილების გათვალისწინებით, არამედ რეალური ეთნიკური სიტუაციის მიხედვით. ასეთი მიგომა ბორჩალოს მაზრასა და ჯავახეთში სომხური და აზერბაიჯანული ერობების შექმნის წინაპირობა იყო. ქართველ პოლიტიკოსთა ამ ნაწილის პლატფორმა კარგად გამოიყენეს რუსეთის 1917 წ. რევოლუციის შემდეგ ამიეკავკასიაში ჩამოყალიბებულმა აზერბაიჯანისა და სომხების რესპუბლიკებმა და ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1918 წ. შემოდგომაზე საქმე საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო შეტაკებამდე მივიდა. მართლის საბჭოთა რაჟიმმა შესძლო ამ მიმართებით მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზირება, მაგრამ ქართული ინტერესების იგნორირება კვლავაც გრძელდებოდა – საბჭოთა წყობილების პირველსავე წლებში საქართველოს ჩამოაჭრეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები.

საკმარისი გახდა, ბოლო ხანებში, კვლავ გამოჩენილიყო პოლიტიკური კრიზისის პირველი ნიშნები, რომ მდგომარეობა ქვემო ქართლში ისევ დაიძაბა.

ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირება პოლიეთნიკურ საზოგადოებაში მუდმივად არსებობს, მაგრამ იგი სწორედ კრიზისულ მომენტებში მძაფრდება. საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში ამ მოვლენას ერთგვარი მექანიზმი გააჩნია. როდესაც საზოგადოებას გარკვეული სიძნელეები უჩნდება, ადამიანები გაუცნობიერებლად ეძებენ ვინმეს, ვისაც გადააბრალებენ ამ სიძნელეებს. საკმაოდ

ხშირად ამგვარ „განტევეების ვაცად“ იქცევა ხოლმე რომელიმე რასობრივი ან ნაციონალური ჯგუფი, რასაც ხელს უწყობს ზოგიერთი ფსევდოისტორიული დებულებაც.

ერთაშორის ურთიერთობის განმსაზღვრელი ძალზე ხშირად ხდება საკმაოდ მცდარი, სტერეოტიპული შეხედულება, რომელიც ისტორიის არაობიექტური მკვლევარის პოპულისტური დებულებებისა და ხალხური გადმოცემების უცნაური სინთეზის ნიმუშს წარმოადგენს. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში (ვ. ლუქასიანი, გ. ჰეიბულაევი, ა. იუნუსოვი და ა.შ.) გამოთქმული მოსაზრებები, რომ თურქები საქართველოში მე-6 საუკუნიდან წამყვან ელემენტს წარმოადგენენ; აზერბაიჯანული ენა ჩამოყალიბდა ისტორიულად მათ კუთვნილ ქვემო ქართლში; ბორჩალო არის არა მე-17 ს. შემოსული თურქმანული ტომისაგან ნაწარმოები სახელი, არამედ უძველესი ყვიჩაღური ტომის ბურევიჩების აქ ცხოვრების დამადასტურებელი; გიორგი მეორის მეფობისას საქართველოში თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი შემოსევა „დიდი თურქობა“ სინამდვილეში არის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილის აღმნიშვნელი, სადაც თურქები იყვნენ წარმმართველნი (გაგებულია ადმინისტრაციულ ერთეულად); ე. ი. ხდება საქართველოში თურქთა ცხოვრების ისტორიის აშკარად გაყალბება, რაც ქვემო ქართლის მაჰმადიან მოსახლეობაში ასეთ ინტერპრეტაციას დებულობს: „ეს მიწა (ქვემო ქართლი) თავიდანვე აზერბაიჯანელებით იყო დასახლებული და ირანს ეკუთვნოდა. შემდგომში ირანის შაჰმა საქართველოს მეფეს საინგილოში გაუცვალა“ (როგორც ჩანს, აქ აიასახა შაჰ აბას პირველის მიერ ქართლის მეფისათვის მიწების „გაცვლა“). ამრიგად, განმტკიცებული რწმენა აზერბაიჯანელთა „ავტოქტონობის“ შესახებ წარმოშობს უკმაყოფილებასა და დაპირისპირებას მათსა და აქ მოსახლე სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ეთნიკური დაპირისპირება მრავალწახნაგა მოვლენაა, მას მეტად რთული მექანიზმი გააჩნია, რომლის ერთ წერილში ანალიზი შეუძლებელია. დაპირისპირებას უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ ერთერთი ძირითადია ისტორიული მემკვიდრეობის საკითხი. ისიც უნდა ითქვას, რომ რეალური ისტორიული მოვლენების დამახინჯებით არაობიექტური სურათის შექმნა ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგომარეობის ესკალაციაში.

**On delimiting the historical aspect of ethnic confrontations (An ethnohistorical analysis of a case from Lower Kartli).**

Summary

Lower Kartli is a frontier region in southeastern Georgia. Its population is distinguished by ethnic heterogeneity, the result of its geopolitical situation and centuries of mass migration. The residents of Lower Kartli include Georgians, Armenians, Azeri Turks, Russians, Greeks and others.

It is well known that the risk of ethnic conflict is greater in multi-ethnic administrative territories. Perceptions of cultural-historical and socio-economic contrasts are enhanced in the context of dense and compact settlements comprising distinct ethnic groups; in particular, if they reside on territory adjacent to their historical homeland, and have the expectation of aid from there in situations of crisis. In such cases, an opposition between “us” and “them”, as is characteristic of multiethnic states, becomes exacerbated, and is expressed through the attempted idealization of their own ethnocultural traits accompanied by the denigration of those of other groups. Representatives of each of the communities declares that it has “the best religion, language, traditions, architectural monuments, and so forth”. At the same time, the fact remains unexpressed that, as a result of intensive contact, the material and intellectual culture of each group has been enriched through the appropriation of achievements of neighboring groups. This is especially true of non-aboriginal groups, which are forced to acquire food-production techniques and tools optimally adapted to local natural and geographical conditions, and in some cases, even to completely change their food-production methods. For example, before their immigration into Lower Kartli, Azeri Turks (commonly referred to as “Tatars” in the previous century) practiced transhumant stock breeding. In the course of time, after their migration, they acquired agricultural techniques, and now practice a symbiotic combination of farming and animal husbandry, which we would attribute to the influence of local conditions.

The above-mentioned background to ethnic confrontation is typical of multiethnic regions. This does not, however, imply the inevitability of conflict, since traditional social mechanisms can regulate the situation, and government institutions can act to impede the escalation of tensions. Therefore, the conditions for provoking large-scale conflict can arise under exacerbating economic and political circumstances.

In polyethnic states, contrasting interests between ethnic communities are always present, but in moments of crisis these can be augmented. In collective



psychology, particular mechanisms react to this phenomenon. When the community is confronted with a difficult situation, people instinctively seek someone to blame. Quite often a distinct racial or ethnic group becomes the “scape-goat”, for which pseudo-historical justifications are offered.

Ethnic confrontation is a many-faceted phenomenon, far too complex to be analyzed in a single paper. Many factors contribute to confrontation, of which one of the most fundamental is the question of historical heritage. It should also be pointed out that the fabrication of a non-objective image through the distortion of historical facts often plays a major role in the escalation of tensions.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. ო.ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ. 1961
2. ი.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული), ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989
3. ნ.შენგელია, სელჩუკები და საქართველო, თბ. 1968
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება IV, თბ. 1973
5. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ. 1990